05 02 06	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა	404.9	404.3	99.8
05 02 07	ძეგლთა დაცვა	2.1	2.1	100
05 02 08	იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები	200.8	199.9	99.6
05 02 09	კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა	749.5	189.1	25
05 02 10	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	247.4	124.2	50
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	63.7	60.7	95.3

05 04	ეპარქიის ხარჯები	168.6	168.6	100
0505	ააიპ საკალთბურთო კლუბი მარგვეთი	200.0	200.0	100

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 3989,1 ათასი ლარით, ანუ წლიური გეგმის (4036,8 ათასი ლარი) 98,8 %-ით
მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 292,8 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 3696,3 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)
პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2025 წლის წლიური	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	294,8	292,8	100
06 01 01	ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრი	294,8	294,8	100

III თავი

მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტის შესრულება

org. kodi	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	2025 წლის გეგმა			2025 წლის (იანვარი-სექტემბერი) ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები	
3	**ზესტაფონის მუნიციპალიტეტი**	**28 057,5**	**14 766,6**	**13 290,9**	**24 841,7**	**12 955,9**	**11 885,8**	88,5
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**1 495,6**	**857,0**	**638,6**	**1 400,4**	**800,0**	**600,4**	93,6

01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	151,7	57,0	94,7	77,2	0,0	77,2	50,9
01 01 01	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო	5,0	0,0	5,0	4,7	0,0	4,7	94,0
01 01 02	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია	146,7	57,0	89,7	72,5	0,0	72,5	49,4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1 343,9	800,0	543,9	1 323,2	800,0	523,2	98,5
01 02 03	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სახვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებული გრანტი	1 343,9	800,0	543,9	1 323,2	800,0	523,2	98,5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	24 454,4	12 956,4	11 498,0	22 498,7	11 909,7	10 589,0	92,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	22 291,2	11 968,4	10 322,8	20 559,8	10 987,1	9 572,7	92,2
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	22 291,2	11 968,4	10 322,8	20 559,8	10 987,1	9 572,7	92,2
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	573,1	148,2	424,9	544,3	124,2	420,2	95,0
02 02 03	წყალმომარაგება	237,1	41,0	196,1	235,4	40,8	194,6	99,3
02 02 04	გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია	324,0	107,2	216,8	296,9	83,3	213,6	91,7
02 02 05	გარე განათების მოვლა-პატრონობა	12,0	0,0	12,0	12,0	0,0	12,0	100,0
02 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	858,9	839,8	19,1	817,5	798,4	19,0	95,2
02 03 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებები.	858,9	839,8	19,1	817,5	798,4	19,0	95,2
02 04	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	731,2	0,0	731,2	577,1	0,0	577,1	78,9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	217,9	0,0	217,9	217,9	0,0	217,9	100,0
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	156,9	0,0	156,9	156,9	0,0	156,9	100,0
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	13,7	0,0	13,7	13,7	0,0	13,7	99,7
03 01 03	კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	143,2	0,0	143,2	143,2	0,0	143,2	100,0
03 02	მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები)	61,0	0,0	61,0	61,0	0,0	61,0	100,0
04 00	განათლება	831,5	663,7	167,8	240,8	131,7	109,1	29,0
04 01	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	70,9	0,0	70,9	70,2	0,0	70,2	99,1
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	107,9	16,8	91,1	54,6	15,7	38,9	50,6
04 05	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა	652,7	646,9	5,8	116,0	116,0	0,0	17,8
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1 058,1	289,5	768,6	483,9	114,4	369,5	45,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	265,8	14,0	251,8	256,8	13,7	243,2	96,6
05 01 05	დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის,	265,8	14,0	251,8	256,8	13,7	243,2	96,6

	რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა							
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	791,8	275,5	516,3	226,5	100,7	125,8	28,6
05 02 01	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	1,4	0,0	1,4	1,1	0,0	1,1	75,0
05 02 02	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა	13,6	0,0	13,6	13,6	0,0	13,6	100,3
05 02 03	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი	2,0	0,0	2,0	1,1	0,0	1,1	52,5
05 02 04	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება	17,6	0,0	17,6	14,0	0,0	14,0	79,5
05 02 05	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	5,7	0,0	5,7	5,7	0,0	5,7	99,8
05 02 06	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა	2,0	0,0	2,0	2,0	0,0	2,0	100,0
05 02 09	კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა	749,5	275,5	474,0	189,1	100,7	88,4	25,2
05 02 10	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	247,4	0,0	247,4	124,2	0,0	124,2	50,2
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	0,5	0,0	0,5	0,5	0,0	0,5	100,0

2026 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ცხრა თვის(იანვარ-სექტემბრის) შესრულების ანგარიში

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	40 844,6	11 341,1	29 503,5	37 119,7	6 994,4	30 125,3
გადასახადები	25 448,3	0,0	25 448,3	25 687,8	0,0	25 687,8
გრანტები	11 599,9	11 341,1	258,8	7 332,6	6 994,4	338,2
სხვა შემოსავლები	3 796,5	0,0	3 796,5	4 099,4	0,0	4 099,4
ხარჯები	27 398,1	3 613,1	23 785,0	22 310,4	2 029,4	20 281,0

შრომის ანაზღაურება	3 259,6	7,0	3 252,6	2 959,4	0,0	2 959,4
საქონელი და მომსახურება	4 325,0	1 385,3	2 939,7	2 754,6	958,3	1 796,3
პროცენტი	3,2	0,0	3,2	3,0	0,0	3,0
სუბსიდიები	13 361,4	0,0	13 361,4	12 046,5	0,0	12 046,5
გრანტები	207,5	0,0	207,5	156,4	0,0	156,4
სოციალური უზრუნველყოფა	2 478,2	0,0	2 478,2	2 302,7	0,0	2 302,7
სხვა ხარჯები	3 763,2	2 220,8	1 542,4	2 087,7	1 071,0	1 016,6
საოპერაციო სალდო	13 446,5	7 728,1	5 718,4	14 809,4	4 965,0	9 844,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	19 474,3	9 974,4	9 499,9	10 135,2	5 561,2	4 573,9
ზრდა	19 574,3	9 974,4	9 599,9	10 321,4	5 561,2	4 760,2
კლება	100,0	0,0	100,0	186,2	0,0	186,2
მთლიანი სალდო	-6 027,8	-2 246,3	-3 781,5	4 674,2	-596,2	5 270,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-6 132,1	-2 246,3	-3 885,8	4 569,9	-596,2	5 166,1
ზრდა	0,0	0,0	0,0	5 166,1	0,0	5 166,1
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			5 166,1		5 166,1
კლება	6 132,1	2 246,3	3 885,8	596,2	596,2	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	6 132,1	2 246,3	3 885,8	596,2	596,2	
ვალდებულებების ცვლილება	-104,3	0,0	-104,3	-104,3	0,0	-104,3
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	104,3	0,0	104,3	104,3	0,0	104,3
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	104,3	0,0	104,3	104,3	0,0	104,3
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

`	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი					
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები	პროცენტი	პროცენტი	პროცენტი
შემოსულობები	40 944,6	11 341,1	29 603,5	37 305,97	6 994,42	30 311,55	91,1	61,7	102,4
შემოსავლები	40 844,6	11 341,1	29 503,5	37 119,74	6 994,42	30 125,33	90,9	61,7	102,1
არაფინანსური აქტივების კლება	100,0	0,0	100,0	186,23	0,00	186,23	186,2	0	186,2
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,00	0,00	0,00	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,00	0,00	0,00	0	0	0
გადასახდელები									

ხარჯები						**20 280,98**			
არაფინანსური აქტივების ზრდა				**10 321,39**					
ვალდებულებების კლება							100	0	100
ნაშთის ცვლილება	**-6132,1**	**-2246,3**	**-3885,8**	**4569,9**	**-596,2**	**5166,1**			

ა) საგადასახადო შემოსავლები

შემოსულობები	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
დამატებითი ღირებულების გადასახადი	22284,4	21787,91	97,8
ქონების გადასახადი	3163,9	3899,87	123,3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2402,5	2830,36	159,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	-17,58	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,4	3,56	37,8
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	52,0	15,23	29,3
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	700,0	78,31	11,2
გადასახადები სულ	**25448,3**	**25687,78**	**100,9**

ბ) გრანტები

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	**0,0**	**0,12**	**0,0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	**11599,9**	**7332,47**	**63,2**
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**3927,7**	**2667,81**	**67,9**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	258,8	338,17	130,7
მიზნობრივი ტრანსფერი(მოსწ ტრანსპორტირება N2260-1	1003,3	798,16	79,5
2_მთავრობის_განკ._29/12/2025|ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებაN2260-2	536,5	543,9	101,4
29,12,25 წ N2260-3 განკარგ	7,0	0,0	0,0
სკოლამდელი აღზრ. დაწეს.აღჭურვა11.03.26 წ N519	82,0	8,73	10,6
N826 მთ განკარგულება	**88,6**	**0,0**	**0,0**
15 05 26 წ. 994 განკარგულება	1502,6	509,59	33,9
გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე N589 განკ	68,9	68,86	100
გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე19,03,26 წ N580 განკ	380	400,41	105,4
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები (კაპიტალური)	7672,2	4664,65	60,8
სპეციალური ტრანსფერი. სტიქიის პრევენცია N222 განკ	864,9	863,96	99,9
კაპირალური ტრანსფერი-რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება N102 განკარგ	**6057,3**	**3616,74**	59,7
კაპირალური ტრანსფერი-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა N85 განკარგ	**750,0**	**183,96**	24,5
სულ გრანტი:	**11599,9**	**7332,59**	63,2

N	თანხა	გრანტის გამომყოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფის თარიღი
1	338,17	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერ	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად (სოციალური დაცვის ღონისძიება)	საქართველოს მთავრობის 2026 წ 27/03 N620 დადგენილება	27/03/26 წელი
2	798,16	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	მოსწავლეთა ტრანსპორტირება	საქ. მთავრობის 29/12/.25 N2260[1] განკარგულება	29/12/25 წელი
3	543,9	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	მოსწავლეთა ტრანსპორტირება	საქ. მთავრობის 29/12/.25 N2260[2] განკარგულება	29/12/25 წელი
4	8,73	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დასესებულებების აღჭურვის მიზნით	საქ. მთავრობის 11/03/26 N519 განკარგულება	11/03/26 წელი
5	**3616,74**	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	რეგიონალური ფონდების პირველადი განაწილება	საქ. მთავრობის 16/01/26 წ N 102 განკარგულება	16/01/26 წელი
6	863,96	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	რეგიონალური ფონდების პირველადი განაწილება	საქ. მთავრობის N 222 განკარგულება	29/01/26 წელი
7	68,86	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	დაკრძალვასთან დაკავშირებული გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯები	საქ. მთავრობის N 589 განკარგულება	20/03/26 წ
8	183,96	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	16.01 26 წ N85 განკარგულება	
9	400,41	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო	19,03,26 წ N580 განკ	
10	509,59	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	სკოლების ოპერირებისა და მოვლაპატრონობის სისტემის განვითარება.	15 05 26 წ. 994 განკარგულება	

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
სხვა შემოსავლები	**3 796,5**	**4 099,38**	**108,0**
შემოსავლები საკუთრებიდან	**276,2**	**529,30**	**191,6**
პროცენტები	**188,7**	**429,55**	**227,6**
დივიდენდები		**0,00**	**0,0**
რენტა	**87,5**	**99,75**	**114,0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	**80,0**	**72,28**	**90,4**

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	7,5	27,47	366,3
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	240,0	273,43	113,9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	225,0	251,64	111,8
სანებართვო მოსაკრებელი	25,0	16,05	64,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	200,0	235,60	117,8
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	15,0	21,79	145,3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	3 219,0	3 246,67	100,9
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	61,3	49,97	81,6

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
არაწარმოებული აქტივები	100,0	167,57	167,6
მიწა	100,0	167,57	167,6
სხვა ბუნებრივი აქტივები	0	0	0

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	3259,6	2959,4	90,8
საქონელი და მომსახურება	4325,0	2754,6	63,7
პროცენტი	3,2	3,0	100
სუბსიდიები	13361,4	12046,5	90,2
გრანტები	207,5	156,4	75,4
სოციალური უზრუნველყოფა	2478,2	2302,7	92,9
სხვა ხარჯები	3763,2	2087,7	55,5
ხარჯები	27398,1	22310,4	81,4

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	19474,3	10321,4	53
არაფინანსური აქტივების ზრდა	19474,3	10321,4	53

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	264,4	36,6	13,8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13296,1	8348,9	62,8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	129,4	8,0	6,2
04 00	განათლება	2759,2	967,65	35,1
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3115,1	850,1	30,5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	10,1	10,1	100,0
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	15,6	2,52	16,2

ზ) ვალდებულებები

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	214,7	213,2	99,3
ვალდებულებების კლება	214,7	213,2	99,3

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან 2026 წლებში გადასახდელი ძირითადი ვალდებულება შეადგენს შემდეგს:

1) ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ მეორე სვირისა და ,,სადგურ სვირის“დამაკავშირებელ გზაზე 2026 წლის განმავლობაში გადასახდელია 61.7 ათასი ლარი. 2026 წლის ცხრა თვეში გადახდილია მთლიანად 61,7 ათასი ლარი, რითაც აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება დასრულდა.
2) საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის (სამი ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 130 ცალი ნარჩენების კონტეინერი) ხელშეკრულების ფარგლებში 2026 წელში გადასახდელია 42,6 ათასი ლარი. რომლის ხარჯი ცხრა თვეში გადახდილია მთლიანად 42.6 ათასი ლარი, რითაც აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება დასრულდა.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -6132,1 ათასი ლარის

ოდენობით ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 0 ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი
ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	5166,1
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	5166,1

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 6132,1 ათასი ლარი.

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი
ფინანსური აქტივების კლება	6132,1	596,2
ვალუტა და დეპოზიტები	6132,1	596,2

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 6449,5 ათასი ლარი, 2026 წლის იანვარ - სექტემბერში აღნიშნული ნაშთიდან ბიუჯეტში მიიმართა 6073,7 ათასი ლარი.

კ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 544,7	4 484,0	80,9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 544,7	4 484,0	80,9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 344,7	4 484,0	83,9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	200,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	14 147,9	9 199,7	65,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1 002,8	212,1	21,1
70421	სოფლის მეურნეობა	1 002,8	212,1	21,1
7045	ტრანსპორტი	12 546,4	8 719,5	69,5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	12 546,4	8 719,5	69,5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	598,7	268,1	44,8
705	გარემოს დაცვა	2 923,2	2 321,9	79,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2 923,2	2 321,9	79,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 336,7	1 489,5	44,6
7061	ბინათმშენებლობა	1 690,5	588,7	34,8
7063	წყალმომარაგება	436,2	48,2	11,0
7064	გარე განათება	1 210,0	852,7	70,5
707	ჯანმრთელობის დაცვა	245,5	241,7	98,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	245,5	241,7	98,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7 716,4	4 923,4	63,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3 106,9	2 007,6	64,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	4 002,3	2 384,8	59,6
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	459,5	459,5	100,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	147,7	71,5	48,4
709	განათლება	9 623,7	6 927,2	72,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	5 881,8	5 239,1	89,1
7092	ზოგადი განათლება	3 741,9	1 688,0	45,1
70923	საშუალო ზოგადი განათლება	3 741,9	1 688,0	45,1
710	სოციალური დაცვა	3 538,8	3 148,5	89,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	159,5	148,4	93,1
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	111,9	98,5	88,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1 196,3	1 119,0	93,5
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	500,0	403,2	80,6

7107	**სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას**	**204,7**	**189,6**	92,6
7108	**გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში**	**400,6**	**395,1**	98,6
7109	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში**	**965,9**	**794,7**	82,3
	სულ	**47 076,7**	**32 736,0**	69,5

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2026 წლის 9 თვეში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 32 736,04 ათასი ლარი შეადგინა, რაც

საპროგნოზო მაჩვენებლის (47 076,7) 69,5 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6206,26 ათასი ლარით ჩამორჩება, ხოლო 2024 წლის - 5514.26 ათასი ლარით.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

	დასახელება	2026 წლის 9 თვის ფაქტი	%
3	**ზესტაფონის მუნიციპალიტეტი**	**32736,04**	100
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**4484,02**	13,7
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**10689,24**	32,6
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2321,93**	7,1
04 00	**განათლება**	**6924,63**	21,2

05 00	**კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**4923,41**	15,0
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3390,29**	10,4
07 00	**ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**	**2,52**	0,0



1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4484,02 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5544,7 ათასი ლარი) 80,9 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1059,46 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3406,57 ათასი ლარი, ქალისა და ბავშვების საკითხებზე მომუშავე საბჭოს საზმიანობა-18,0 ათასი ლარი.

2. საერთო დანიშნულების ხარჯი 0 ლარი:

სარეზერვო ფონდში 9 თვის გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს, 9 თვეში სარეზერვო ფონდიდან თანხები არ დახარჯულა.

მიმდინარეობს; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00) ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 10 689,24 ათასი ლარით, რაც გეგმის (17484,5 ათასი ლარი) 61,1 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი

მიმართულებით:

	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17 484,5	10 689,24	61,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12 546,4	8 719,51	69,5
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	1 179,9	738,48	62,6
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	11 366,5	7 981,03	70,2
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 336,7	1 489,52	44,6
02 02 02	ბინათმშენებლობა	1 690,5	588,67	34,8
02 02 03	წყალმომარაგება	436,2	48,16	11,0
02 02 04	გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია	410,3	106,49	26,0
02 02 05	გარე განათების მოვლა-პატრონობა	799,7	746,20	93,3
02 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1 002,8	212,08	21,1
02 03 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებები.	1 002,8	212,08	21,1
02 04	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	598,7	268,14	44,8

1. **ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)** მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

ა.ა) გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

2026 წლის განმავლობაში, 9 თვის გეგმა შეადგენს 1179.9 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი 738.48 ათასი ლარი.

ა.ბ) გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

2026 წლის განმავლობაში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქში დაიგო 2500 გრძ/მ ასფალტის საფარი, და 20300 გრძ/მ ბეტონის საფარი. აღნიშნული პროეტების ფარგლებში მოეწყო 450 გრძ/მ სანიაღვრე არხი, საერთო ჯამში 22700 ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

მიმდინარეობს სამუშაოები, მათ შორის:

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ავარიული ქუჩების და ადმინისტრაციულ ერთეულებში ცენტრალურ გზების მოვლა შენახვის სამუშაოები.

დასრულდა -ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ქალაქისა დაადმინისტრაციულ ერთეულებში ცენტრალური და საუბნო გზების თოვლისგან გაწმენდის მომსახურეობის შესყიდვა.

ა.ბ) გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

2026 წლის ცხრა თვეში ხარჯმა შეადგინა 7981,0 ათასი ლარი რაც გეგმის (11366,5 ათასი ლარი) 70,2 %-ია. დაბალი პროცენტული მაჩვენებლები გამოწვეულია რთული კლიმატური პირობების გამო, დაწყებულია სამუშაოები და დაფინანსებულია ნაწილობრივ.

აქედან:დასრულებულია სამუშაოები:

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით /რგფ/, რომელიც მომდინარეობდა 2025 წლიდან, მრავალწლიანი შესყიდვის კუთხით, კერძოდ;

სოფელ ცხრაწყაროში #24-#25 ქუჩების რეაბილიტაცია

სოფელ არგვეთაში გაფრინდაშვილების გზის რეაბილიტაცია.

სოფელ დილიკაურში სვიანაძეების გზის რეაბილიტაცია.

სოფელ კლდეეთში ჯანიაშვილები ჩინჩალაძეების გზის რეაბილიტაცია

სოფელ ჭალატყეში სამხარაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.

ქ.ზესტაფონში, ქეთევან წამებულის ქუჩა #1 დან #15 ჩათვლით სანიაღვრე არხის და საყრდენი კედლის მოწყობა.

უზნაძის ქუჩა #14-ში მდებარე სახლის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა.

გრიგოლ ხანცთელის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

გია აბესაძის ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით /რგფ/, მათ შორის:

სოფელ არგვეთაში ბარბაქაძე-გრიგალაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია

სოფელ ქვედა კლდეეთში ცინაძე-გუმბერიძეების გზის რეაბილიტაცია.

ქ,ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში ახალი სპორტული სკოლის მშენებლობა

ქ.ზესტაფონში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, ქაშაკაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, ბიბილაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია

სოფელ ზოვრეთში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია

სოფელ მარტოთუბნის დასაწყისში საყვარელიძეების უბანში დარჩენილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

სოფელ თვრინი ალავერდის გზის რეაბილიტაცია

სოფელ ქვედა საქარაში ჭიჭინაძეების გზის რეაბილიტაცია

სოფელ პირველ სვირში კაკაურიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია

სოფელ პირველ სვირში ანზორ ღიბრაძის სახლის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია

- **საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის N222 განკარგულებით მიმდინარეობს:**

ქ.ზესტაფონში მდინარე აჯამურაზე ხიდის რეაბილიტაცია

ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით დასრულებულია სამუშაოები;

სოფელ დიდ განთიადში დავით ტყემალაძის სახლის მიმდებარედ საყრდენი კედლი მოწყობაქ ზესტაფონში.

სოფელ ცხრაწყაროში N7 ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობა

ქ. ზესტაფონში ქოჩიაშვილის ქუჩაზე ძაბირაძე მურმანის სახლის მიმდებარედ 12 გრძ/მ არხის და ცხაუის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ პირველ სვირში გეწაძე-ნიქაბაძეების უბანში სანიაღვრე არხის და 2 ცალი ცხაურის მოწყობა.

მიმდინარეობს ბიუჯეტის ადგილობრივი სახსრებიდან სამუშაოები;

სოფელ ცხრაწყაროში მეექვსე (ავთო ქავთარაძის) ჩიხის რეაბილიტაცია

სოფელ ცხრაწყაროში მეათე ქუჩაზე ამირან ხიჯაკაძის ჩიხის რეაბილიტაცია

სოფელ ცხრაწყაროში N9 ქუჩაზე გზის მოწყობა

სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა წერეთლის მუზეუმამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

სოფელ შუა კვალითში აბანოს ცენტრალურ გზაზე დაზიანებული ბეტონის საფარის რეაბილიტაცია (გაკვეულ მონაკვეთზე) და სანიაღვრე არხის მოწყობა

სოფელ ცხრაწყაროში N5 ქუჩაზე სანიაღვრე მილის მოწყობა

ქ. ზესტაფონში პუშკინის ქუჩა N10 ლუკა ნებიერიძის სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა გზის გადაკვეთაზე

სოფელ ზოვრეთში დათიაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია

სოფელ დილიკაურში ეჯიბაძეების უბანში დაარჩენილი მონაკვეთის გზის რეაბილიტაცია

სოფელ ქვედა საზანოში კობახიძე საყვარელიძეების გზის რეაბილიტაცია

სოფელ კვალითში გაბრიჭიძე-ვაჭარაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა

სოფ ბოსლევში ამირან მჭედლის სახლის მიმდებარედ ბოგირის მოწყობა

სოფელ კვალითში სილაქაძეების ქუჩაზე დარჩენილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

სოფელ ზოვრეთში კვეტენაძე-ვერულაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია

სოფელ ტყლაპივაკეში ჭანკვეტაძე-ლუტიძეების გზის რეაბილიტაცია

სოფელ კლდეეთში კინოთი-ჯანიაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია

ქ. ზესტაფონში ნინოწმინდის ქუჩაზე და ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორიის თავისი ჩიხებით კეთილმოწყობა

სოფელ მეორე სვირში ცინაძეების სასაფლაოზე მიმავალ გზაზე შესასვლელების მოწყობა

სოფ მეორე სვირში ბრეგვაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა

სოფ ბოსლევში ჩაფიძეების უბნის გზაზე ნაპირსამაგრი კედლის რებილიტაცია

დაბა შორაპანში ჭიათურის ქუჩზე ცხაურის მოწყობა

დაბა შორაპანში ფარნავაზის ქუჩის დასაწყისში საყრდენი კედლის მოწყობა

სოფელ ქვედა საზანოში მდინარეზე სამი საცალფეხო ხიდის (ნებიერიძეები, კობახიძეები, კვანტიძეები) რეაბილიტაცია

სოფელ სვეტმაღალში, ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

სოფელ აჯამეთში საყვარელიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია

სოფელ ცხენთაროში გიორგაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია

სოფელ ბოსლევში ჩაბუასოულის საუბნო გზის რეაბილიტაცია

სოფელ გაღმა ბოსლევში საკრამიტის უბანში დაზიანებული 4 მონაკვეთის აღდგენა

სოფ გაღმა ბოსლევში თავბერების უბანში გზის რეაბილიტაზია

დაბა შორაპანში ზაზა ფერაძის ქუჩაზე 300 გრ/მ-ზე ბეტონის საფარისა და გარე განათების მოწყობა არსებულ ბოძებზე დაბა შორაპანში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია

ქვედა საქარაში ქათამაძეების უბანში დამეწყრილი მონაკვეთისა და გზის რეაბილიტაცია.

სოფელ ქვაგატეხილში ზაალ პერანიძის სახლის მიმდებარედ დამცავი კედლის მოწყობა.

სოფ დილიკაურში ღავთაძე-ჩხეიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია

სოფელ შუა კვალითში საბავშვო ბაღის მიდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა I ლოკაცია.

სოფელ შუა კვალითში საბავშვო ბაღის მიდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა II ლოკაცია

სოფელ შუა კვალითში აბანოს ცენტრალურ გზაზე დაზიანებული ბეტონის საფარის რეაბილიტაცია (გაკვეულ მონაკვეთზე) და სანიაღვრე არხის მოწყობა.

სილაქაძეების ქუჩაზე დარჩენილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მიმდინარეობს ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოების, სახურავების რეაბილიტაცია. სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია, წყალსაცავი არხების გაწმენდა და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია;

ბ.ა) ბინათმშენებლობა“ (პროგრამული კოდი(02 02 02)

2026 წლის 9 თვის გეგმა შეადგენს1690.5 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი 588.67 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით /რგფ/, მიმდინარეობს სამუშაოები
ქ.ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში კეკელიძის ქუჩა #11 კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში კეკელიძის ქუჩა #9 კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია

ქ.ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში მაღლაკელიძის ქუჩა #1 კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია

ბ.ბ) წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 02 02 03) წყალმომარაგება-ში საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 48.16 ათასი ლარით, რაც გეგმის (436.2) 11 პროცენტია.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა და დასრულებულია შემდეგი პროექტები:

მიმდინარეობს სამუშაოები

შროშაში ამსაისი, ულევი, გორგაძეების უბანში სასმელი წყლის მოწყობა

სოფელ მარტოთუბანში ყვავაძეების უბანში წყლის სისტემის მოწყობა
სოფელ მეორე სვირში ლომინაშვილების უბანში არსებული ჭაბურღილის ამორეცხვა
სოფელ მარტოთუბანში ცქიტიშვილების და ზედა ყვავაძეების უბანში წყალსადენის მოწყობა

ბ.გ) გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცის (პროგრამული კოდი 02 02 04) გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაციის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 106.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 410.3 ათასი ლარის 49.6%-ია.

მიმდინარეობს სამუშაოები

სოფელ ზედა საქარაში ფერაძეებისა ვაჭარაძეების უბანში გარე განათების მოწყობა
სოფელ მეორე სვირში ჯიკვათირის უბანში გარე განათების მოწყობა

ბ.დ) გარე განათების მოვლა პატრონობა (პროგრამული კოდი 02 02 05)

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, სკვერების, მინი სტადიონების ღამის განათებებზე, ღამის განათების კუთხით. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და უბნებზე, სოფლებშიც ღამის განათების ახალი და მეორადი სანათი ფარების დამატება. გარდა ამისა ღამის განათების რკინის ბოძებზე ეტაპობრივად ხდება ელ. შედუღებითი და სამღებრო სამუშაოების ჩატარება.

ვემსახურებით მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. არგვეთა, სოფ. ბოსლევი, სოფ. შროშა) არსებულ მინი სტადიონებზე, სოფ. მეორე სვირში და შორაპანში არსებულ იუსტიციის სახლებზე დამონტაჟებულ გარე განათებას.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, სკვერების, მინი სტადიონების ღამის განათებებზე ყოველდღიურ რეჟიმში ვაწარმოებთ სარემონტო სამუშაოებს. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და უბნებზე, სოფლებშიც ღამის განათების მეორადი სანათი ფარების დამატება. გარდა ამისა ღამის განათების რკინის ბოძებზე ეტაპობრივად ხდება ელ. შედუღებითი და სამღებრო სამუშაოების ჩატარება.

გ) (პროგრამული კოდი 02 03) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლემში 9 თვის გეგმაშეადგენს 1002.8 ათასი ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 212.08 ათასი ლარი. დაბალი შესრულების მაჩვენებელი გამოწვეულია სამუშაოებზე დამზადილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განმეორებით გადაფასების გამო.

2. **დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2321,93 ათასი ლარით, რაც გეგმის 79,4 პროცენტია.

	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 923,2	2 321,93	79,4
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	2 878,6	2 277,50	79,1
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 653,5	2 085,84	78,6
03 01 03	კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	213,6	191,65	89,7
03 01 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	11,5	0,00	0,0
03 02	მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები)	44,6	44,43	99,6

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის ვალდებულებაა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში უზრუნველყოს დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის ორგანიზება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, თოვლცვენის დროს ტექნიკური მარილის მოყრა, სადრენაჟო ქსელების, სანიაღვრე კოლექტორების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გადასასველის მოვლა-პარტობობა, გარე განათების ქსელის და არსებული კომუნიკაციების სწორი და გამართული მუშაობა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისა და განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა.

სერვის ცენტრის მიერ ყოველდღიურად ხდება ქალაქის 16 ქუჩის, 20 სკვერის, 1 პარკის, აღმაშენებლის ქუჩაზე, თამარ მეფის ქუჩაზე ახალი პოლიციის უკან ეზოში, რუსთაველის ქუჩაზე და და კვალითის დასახლებაში მდებარე გაზონების (სულ 4 გაზონი), 4 სამკუთხედის, 7 წრის, ქალაქის 90 ქუჩაზე და 2 მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის (ბუნკერი) მცხოვრები მოსახლეობიდან 120-150 მ^3 საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. პერიოდულად ტარდება

დასუფთავების აქციები ზესტაფონი-ხარაგაულის, ზესტაფონი- ჭიათურის, ზესტაფონი- ბაღდადის მაგისტრალზე და მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. ზედა საქარა, სოფ. ქვედა საქარა, სოფ. ქვედა საზანო, სოფ. ბოსლევი, სოფ. პირველი სვირი (ხოხოულის დასახლება, სოფ. პირველი სვირის ხიდი), სოფ. მეორე სვირი ნაწილობრივ, სოფ. არგვეთა „წყაროებამდე“ და შაორგესის დასახლება, სოფ. შროშა). ვემსახურებით მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. არგვეთა, სოფ. ბოსლევი, სოფ. შროშა) არსებულ მინი სტადიონებზე, სოფ. მეორე სვირში და შორაპანში არსებულ იუსტიციის სახლებზე დამონტაჟებულ გარე განათებას.

ვემსახურებით მუნიციპალიტეტის ნაწილობრივ ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრეებიდან და ინდ.მეწარმეებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, მათთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ბილინგის სამსახურის მიერ ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გაწეული მომსახურებისათვის მოსაკრებელის ამოღება როგორც ინდ მეწარმეებიდან, აგრეთვე ფიზიკური პირებიდან. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ყოველდღიურად ვაწარმოებთ სერვის ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის საშუალებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების საავტომობილო, ფეხით სავალ ადგილებზე, ხიდებზე მოყრილ იქნა ტექნიკური მარილი.

ზარის მეთოდის გამოყენებით ვემსახურებით ნაწილობრივ სოფლების და ქალაქის კერძო დასახლებულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის საშუალებით. გამართული და ნორმალური ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეძენილ იქნას 2 ერთეული ნაგავმზიდი 13+1 მ^3, 1 ერთეული ნაგავმზიდი 6+1 მ^3 , 1 ერთეული მსუბუქი სატვირთო თვითმცლელი (დუბლ კაბინით), 1 ერთეული თვითმცლელი GAZ მოდელის 4 მ^3, 1 ერთეული მცირე ზომის თვითმცლელი (ქალაქში მეეზოვეების მიერ მოგროვილი ნარჩენების ასაღებად), 250 -300 ცალი მეტალის ნაგვის კონტეინერი 1 მ^3 მოცულობის, 100 ცალი დეკორატიული მეტალის ურნა, 1 ერთეული ექსკავატორი - დამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) ვინაიდან მოძველებულია 1 ერთეული ექსკავატორი - დამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) JCB და საჭიროა მისი ახლით ჩანაცვლება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში პერიოდულად ტარდება დასუფთავების აქციები. 2026 წლის 01 იანვრიდან 2026 წლის 01 სექტემბრამდე გატანილი იქნა 10088.57 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

სერვის ცენტრის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის ნაპირების, ხიდებსა და სკვერებში უხვი ნალექის შედეგად დაგროვილი შლამის მოფხეკა და გატანა, სკვერებში და პარკებში სტიქიის შედეგად მოტეხილი ხის ტოტების ჩამობელვა და გატანა. გარდა ამისა, ააიპ სერვის-ცენტრის სპეც-ტექნიკის გამოყენებით მუშა მოსამსახურეებმა გაიტანეს მოსახლეობის მიერ ქუჩაში დაყრილი სარემონტო-საამშენებლო ნაგავი.

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი მრავალწლიანი მწვანე ნარგავებისა და გაშენებული (ხანდაზმული, გამხმარი, ავარიული) ნარგავების შეფასებისათვის შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული შეფასების შემდეგ სერვის ცენტრი ახდენს გამხმარი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვას, რომლებიც ურიგდება სოციალურად დაუცველ ოჯახებს საწვავად-საშეშედ. მერიის მიერ შესყიდული 136.1 მ^3 საშეშე მასალა განვლილი 9 თვის მანძილზე განაწილდა და გადაეცა 60 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

შემოსული წერილების საფუძველზე ტარდება სანიაღვრე არხების გაწმენდითი და დაზიანებული ცხურების შედუღება- შეკეთების სამუშაოები. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, პარკსა და სკვერებში, გაზონებზე, მინი სტადიონებზე ვაწარმოებთ ბალახის გაცელვით სამუშაოებს. ვახორციელებთ ქალაქის მიდებარე ტერიტორიაზე კერძოდ, აღამაშენებლის ქუჩაზე (რკინიგზის მიმდებარედ) დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, შორაპანში მდებარე საზოგადოებრივი რეიტერატის(ტუალეტის) დალაგება-დასუფთავებას.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, სკვერების, მინი სტადიონების ღამის განათებებზე ყოველდღიურ რეჟიმში ვაწარმოებთ სარემონტო სამუშაოებს. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და უბნებზე, სოფლებშიც ღამის განათების მეორადი სანათი ფარების დამატება. გარდა ამისა ღამის განათების რკინის ბოძებზე ეტაპობრივად ხდება ელ. შედუღებითი და სამღებრო სამუშაოების ჩატარება.

სკოლებიდან, საბავშვო ბაღებიდან და მოსახლეობიდან შემოსული წერილების საფუძველზე ვახდენთ ტექნიკური წყლის მიწოდებას.

ააიპ სერვის-ცენტრი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სოფლის ჩიხებსა და გზებზე ახდენს სპეც-ტექნიკით, ექსკავატორით სხვადასხვა სახის ღორღით მოსწორებით და გაწმენდით სამუშაოებს, სადაც თითქმის ყოველდღიურად ვამუშავებთ 2 (ორი) ერთეულ ექსკავატორ - დამტვირთველს (მრავალფუნქციური ტრაქტორი), 1 ერთეულ მინი- ექსკავატორს და 3 (სამი) ერთეულ თვითმცლელს(კამაზებს).

აგრეთვე ვასრულებთ ბევრ გაუთვალისწინებელ სამუშაოებს.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2026 წლის 9 თვის განმავლობაში დაფინანსდა 6924,63 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - (9608.1 ათასი ლარი), 72.1 პროცენტია.

	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	9 608,1	6 924,63	72,1
04 01	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	5 642,3	5 151,54	91,3
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	223,9	85,05	38,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	73,0	0,00	0,0
04 04	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1 157,8	863,11	74,5
04 05	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა	2 511,1	824,94	32,9

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების 9 თვის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ზესტაფონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შედის 41 სტრქტურული ერთეული. 77 ასაკობრივ ჯგუფში 464,25 შტატზე დასაქმებილია 532 თანამშრომელი.

2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის გეგმა შეადგენს 5642250 ლარს. გაერთიანების ხელფასის სამი კვარტალის ფონდი შეადგენს 4297900 ლარს. სამი კვარტლის შედეგებით შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 4252460 ლარი, დანამატის ხარჯი 2512 ლარი, მივლინების სამი კვარტალის გეგმა შეადგენს 4000 ლარს, შესრულება შეადგენს 1168 ლარს.

სამი კვარტლის საოფისე ხარჯი შეადგენს 369400 ლარს. სამი კვარტლის შედეგებით ათვისებულია 244610 ლარი. კერძოდ: სხვადასხვა საოფისე ინვეტარის შესაძენად ათვისებულია 22570 ლარი, რეცხვა ქიმწმენდის და ჰიგიენური საშუალებისათვის 11880 ლარი კავშირგამბულობის და კომუნალური ხარჯისათვის გახარჯულია 210160 ლარი.

გაერთიანებაში სულ ტარიფიკაციით ირიცხება 1063 ბავშვი, კვების ხარჯი დაგეგმილია 950 ბავშვზე. ფაქტიურმა გამტარიანობამ შეადგინა 101820 ბავშვი, წლიური კვების ხარჯი დაგეგმილია 5.31 ლარით, კვების სტანდარტებით გათვალისწინებული სეზონური მენიუს პროგრამით დღიური მენიუს ხარჯი შეადგენს 6,42 ლარს, სამი კვარტლის კვების ხარჯი შეადგენს 730800 ლარს. ცხრა თვის საკასო შესრულებით ათვისებულია 510330 ლარი. სამი კვარტლის საკასო შესრულებიდან გამომდინარე 1 ბავშვზე დღიური კვების ფაქტიურმა ხარჯვამ შეადგინა 5,01 ლარი. (510330:101820=5.01)

სამედიცინო ხარჯის სამი კვარტალი დაფინანსებულია 2000 ლარით რომლის ათვისება არ მომხდარა.

ტრანსპორტით მომსახურეობის სამი კვარტალის ხარჯი შეადგენს 2400 ლარს, აქედან სულ ათვისებულია 1420 ლარი. სხვა ხარჯების სამი კვარტალის დაფინანსებაა 56950 ლარი, 9 თვის მონაცემით ათვისებულია 33090 ლარი. კერძოდ: საბავშვო ბაღების შენობების ქირავნობისათვის გახარჯულია 12050 ლარი, საარქივო მომსახურებისათვის 310 ლარი, სხვა დანარჩენი მომსახურებაზე გახარჯულია 20730 ლარი.

სამედიცინო ფურცელზე (ბიულეტენი) სამ კვარტალში გეგმით გამოყოფილი 24000 ლარიდან სამი კვარტლის ფაქტიური ხარჯია 23560 ლარი.

პერსონალის დაზღვევის ხარჯის სამი კვარტალის 8000 ლარიდან საკასო შესრულება შეადგენს 6110 ლარს.

არაფინანსური აქტივებში გამოყოფილია 142800 ლარი. ათვისებულია 76280 ლარი.

სულ გართიანების 9 თვის ხარჯი შედგენს 5151540 ლარს.

ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობის 9 თვის ხარჯმა შეადგინა 85,05 ათასი ლარი, რაც

გეგმის(223,9) 38,0 პროცენტია. აქედან დასრულებულია სამუშაოები:

სოფ კვალითის N17 საბავშვო ბაღში გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები

სოფელ ბოსლევში #28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სასმელი წყლის ჭის მოწყობა.

N7 სკოლამდელი აღზრდის სტრუქტურული ერთეულის იატაკის რეაბილიტაცია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ კვალითის №17 საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

მეორე სვირის ადმინისტრაციულ ერთეულში, N12 სკოლამდელი აღრზდის სტრუქტურულ ერთეულში არსებული სალექარი ორმოს მიმდებარედ მოეწყოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარი (ბიო-სეპტიკი) -

გ) საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფაში 9 თვეში გაწეული ხარჯი შეადგენს 863,11 ათას ლარს რაც გეგმის(1157,8 ათასი ლარის) 74,5 პროცენტია.

დ) ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 05)

ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მშენებლობაზე 9 თვეში დაიხარჯა 824,94 ათასი ლარი გეგმიურის (2511,1 ათასი ლასის) 32,9 პროცენტი.

აქედან დასრულებულია სამუშაოები:

საქართველოს მთავრობის 30/09/25 წლის N 1604 განკარგულებით;

სოფელ ბოსლევში საჯარო სკოლაში საკლასო ოთახების კარებების და იატაკის რეაბილიტაცია სოფელ როდინაულის საჯარო სკოლის, სადგური სვირის კორპუსის პირველ სართულზე შიდა იატაკების რეაბილიტაცია

სოფელ კლდეეთში საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის იატაკის რეაბილიტაცია

სოფელ შროშის საჯარო სკოლაში საკლასო ოთახების და კორიდორების ხის იატაკის რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N 2260 II განკარგულებით.

სოფელ ილემის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ზესტაფონში N3 საჯარო სკოლის ღობის, საკლასო ოთახების და შიდა საპირფარეშოს ნაწილის რეაბილიტაცია

სოფ ცხენთაროს საჯარო სკოლისგათბობის სისტემის მოწყობა

სოფ ცხენთაროს საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა

სოფ ზოვრეთის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია

სოფ აჯამეთის სკოლაში ბუნებრივი აირზე ცენტრალური გათბობის სისტემის შიდა და გარე ქსელის აბონენტად აყვანის ტექ პირობა

სოფ ცხენთაროს საჯარო სკოლის ბუნებრივი აირზე ცენტრალური გათბობის სისტემის შიდა და გარე ქსელის აბონენტად აყვანის ტექ პირობა

სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე 9 თვეში გაწეული იქნა 4923,41 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7716,4 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 63,8 პროცენტი.

	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7 716,4	4 923,41	63,8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3 106,9	2 007,63	64,6
05 01 01	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება)	187,6	100,82	53,7
05 01 02	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა	524,7	462,71	88,2
05 01 03	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალაძის სახ.სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი	911,8	829,49	91,0
05 01 05	დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა	1 482,8	614,60	41,4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 002,3	2 384,83	59,6
05 02 01	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	102,4	95,75	93,6
05 02 02	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა	327,3	309,74	94,6
05 02 03	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი	849,6	830,05	97,7
05 02 04	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება	124,5	104,25	83,7
05 02 05	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	367,3	352,59	96,0
05 02 06	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა	363,7	331,40	91,1
05 02 07	ძეგლთა დაცვა	2,7	2,70	100,0
05 02 08	იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები	201,3	0,00	0,0
05 02 09	კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა	1 590,0	309,81	19,5
05 02 10	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	73,6	48,54	66,0
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	147,7	71,45	48,4
05 04	ეპარქიის ხარჯები	159,5	159,50	100,0

05 05	**აიპ საკალათბურთო კლუბი „მარგვეთი"**	**300,0**	**300,00**	100,0

ზესტაფონი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს 2026 წელს პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი,

მკლავჭიდი, რაგბი) ჩატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს რაიონის ახალგაზრდებმა

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება)(პროგრამული კოდი 05 01 01)

1.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია, ზესტაფონის ნაკრებისა და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში. სპორტსკოლის, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომი რეაბილიტაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის.

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.

პროგრამა მოიცავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორცმენების დაჯილდოება, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებთან თანამშრომლობა, სპორტის სხვადასხვა ასპარეზობებზე წარგზავნის დაფინანსება. მიმდინარე წლის 9 თვეში მომსახურება დასვენება სპორტის სფეროში ხარჯი შეადგენს 100,82 ათას ლარს რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 53,7 % -ია. 28.21.18 ფულადი ჯილდო გაიხარჯა: 64,7 ათასი ლარი 2.2.10.12 გაიხარჯა 10,4 ათასი ლარი: სპორტული მედლები, თასები, სიგელები. ცხვარი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებისათვის -ფალავნობა. 2.5 გაიხარჯა 21,7 ათასი ლარი (სპორტსმენების მივლინება) 22.10.14. საწევრო გადასახადი 4,05 ათასი ლარი. (მინი ფეხბურთში მონაწილეობის საწევრო გადასახადი N5 N6 N7 სკოლის გუნდები).

ა(ა)იპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა“- (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტულ სკოლის 2026 წლის 9 თვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 524.74 ათას ლარს,მათ შორის შრომითი ანაზღაურება 351.6 ათ.ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით 27.5ათ.ლარს, მივლინება ქვეყნის გარეთ 5,0 ათ.ლ. ოფისის ხარჯი 21.65 ათასი ლარი,აქედან კომუნალურებისთვის გამოყოფილი იყო 11.19ათ. ლარი,კავშირგაბმულობისთვის 2.0 ათ. ლარი. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისათვის 0.5 ათ.ლარი.რეცხვა ქიმწმენდისათვის 3.0. საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 2.91ათ. ლარი, აქედან მცირეფასიანი ინვენტარის შესაძენად 2.0ათასი ლარი. საკანცელარიო საქონლის შესაძენად 1.4ათასი ლარი,ნორმატიული აქტებისათვის 0,7 და სამედიცინო ხარჯებისათვის 0,1 ათ.ლარი.საწვავ საპოხი მასალების შესაძენად გეგმა მოიცავდა 1,3 ათ ლარს,ხოლო ტრანსპორტის დაქირავების(გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი შეადგენდა 21.0 ათას ლარს.სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, კერძოდ კულტურული,სპორტული ღონისძიებების ხარჯში 67.4 ათ ლარი, აქედან სასტუმროს

მომსახურეობისთვის გეგმით გათვალისწინებული იყო 20,0ათასი ლარი. კადრების გადამზადებისათვის 0,6 ლარი, რბილი ინვენტარისა და სპორტული უნიფორმების შეძენისათვის გათვალისწინებული იყო 18.0 ათ.ლარი, სხვა დანჩენი ხარჯი 3,4 ათ.ლარს. პერსონალის დაზღვევისათვის 1,1 ათ.ლარი.

მიმდინარე 9 თვეში გაიზარდა არაფინანსური აქტივებიც 1,595 ათ ლარით.

რაც შეეხება ფაქტიურ ხარჯს შეადგენს: იგი შეადგენს 462.709 ათას ლარს. კერძოდ: შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 331.47 ათ.ლარი,აქედან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 330,57 ათას ლარს. ხოლო დანამატს 0,9 ლარი.ამ მუხლში ეკონომიამ შეადგინა 20,13 ათ. ლარს,(აქედან დანამატში 0,5).რაც გამოიწვია: ა)რაგბის მწვრთნელ მასწავლებლის ვაკანსიამ, ბ)მეორე რაგბის მწ/მასწავლებლის უფასო შვებულებამ და ფარიკაობის მწ/მასწავლებლის უფასო დეკრეტულმა შვებულებამ, გ) დირექტორის მოადგილის საშტატო ერთეულის ვაკანსიამ. აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია ეკონომია დანამატის მუხლშიც,რომელსაც იღებდა დირექტორის მოადგილე,როგორს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. ანუ სპორტულ სკოლაში ამჟერად 43 საშტატო ერთეულზე დასაქმებულია 36 პერსონალი, ნაცვლად 38-ისა.

მივლინების მუხლში(მივლინება ქვეყნის შიგნით:) გახარჯულია 18.6 ათასი ლარი,ამ მუხლში ეკონომია შეადგენს 9.39 ათას ლარს,რაც გამოწვია იმან რომ მწვრთნელების რაოდენობა შემცირებულია 2 კადრით და,ამავე დროს ივლისი-აგვისტოს თვეში მწვ/მასწავლებლები იყვნენ შვებულებაში სხვადასხვა გრაფიკით და შესაბამისად მივლინებების რაოდენობაც შემცირებული იყო,გარდა ამისა მათ მივლინების მუხლიდან ეძლევათ მხოლოდ დღიური კვების თანხა.

კომუნალურებში ათვისებულია 8,21ათ.ლარი. ამ მუხლში ეკონომია გამოიწვია დენისა და ბუნებრივი აირის შედარებით დაბალმა მოხმარებამ. (2,98 ათ,ლარი)

რბილი ინვენტარის შეძენაძე დახარჯულია 9,59 ათ ლარი და აქ ეკონომია არ რჩება ვინაიდან 10,0ათ ლარში ბერძნულ/რომაული ჭიდაობის ხალიჩის ჩამოტანას ველოდებით.

მიმდინარე 9 თვეში სრულად ამოიწურა ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი,ანუ გეგმით გათვალისწინებული იყო 21,0ათ ლარი და გახარჯულია 20,91 ათ ლარი.ხოლო მიმდინარე ხარჯებისათვის მესამე კვარტალში სუბსიდიით დაგვემატა 3,0 ათ ლარი.და ჯამში გეგმამ შეადგიმა 24,0 ათ ლარი. დამატებული სუბსიდიის თანხა 3,0 ათ.ლარი გადავიდა ეკონომიაში,ვინაიდან აღნიშნულზე გამოცხადებულია ტენდერი.

რაც შეეხება კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხარჯს , ამ მუხლში ათვისებულია 62,135 ათ.ლარი.მათ შორის დღიური კვების თანხა შეადგენს 48,410 ათას ლარს ხოლო 13,725 ათასი ლარი მოხმარდა სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე სპორტსმენების სასტუმროს ხარჯს.ამ მუსლში არსებული ეკონომია 5,27 ათასი ლარი სრულად ეკუთვნის სასტუმროს მომსახურების ასათვისებელ ხარჯს.

აღნიშნულ კვარტალში ეკონომია დაგვრჩა სპორტული რბილი ინვენტარისა და უნიფორმების ხარჯში,საოფისე ავეჯი,საოფისე ტექნიკა, საკანცელარიო და სანიტარული საგნების შეძენის ხატჯშიც,სადაც ჩატარებულია ბაზრის კვლევები და ველოდებით თანხმობას შესყიდვაზე. ანალოგიური პრობლემაა მცირეფასიანი ინვენტარის სეძენის ხარჯშიც,სადაც გვაქვს აუთვისებელი სახსრები.

არაფინანსური აქტივების ზრდა გამოიწვია სათვალთვალო კამერებისა და სათვალთვალო სისტემების შეძენის აუცილებლობამ,რომლებიც დამონტაჟდა კორიდორსა და სპორტულ დარბაზებში. რაც გახარჯულია სპულად 1,595 ათ ლარი.

საკუთარი სახსრების შემოსავალს, რომელიც სპორტულ სკოლას წარმოეშვა დარბაზის გაქირავებიდან ტანვარჯიშის სექციაზე, 9 თვის მანძილზე გათვალისწინებული 1050 ლარი სრულად იქნა შემოტანილი სკოლის ანგარიშზე. გარდა ამისამიმდინარე წლის მეორე კვარტალში კიდევ წარმოიშვა იჯარის ვალდებულება დამატებით, საიდანაც შემოსავალმა მეორე კვარტალში დამატებით შეადგინა 450 ლარი,ანუ ჯამში საკუთარი შემოსავალი მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით შეადგენს 1500 ლარს. გახარჯული თანხა საკუთარი სახსრების ნაწილში შეადგენს 8,7 ლარს. რომელიც გადავიხადეთ სახელმწიფო ბიუჯეტში როგორც ქონების გადასახადი წარდგენილი დეკლარაციის შესაბამისად.

ა.ა.ი.პ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის 2026 წლის პირველი 9 თვის გაწეული მუშაობა და ათვისებული ბიუჯეტის შესახებ

2026 წლის 9 თვე (3 კვარტალი) ნაყოფიერი და წარმატებული იყო ა(ა)იპ „ზეტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის“ კოლექტივისა და სპორტსმენებისათვის საქართველოს მასშტაბით.

სპორტული სკოლის სპორტსმენებმა წარმატებით ჩაატარეს არაერთი სპორტული შეჯიბრება, როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში , შიდა ტურნირებზე, ასევე საქართველოს ჩემპიონატზე.

საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა მიიღეს 106 სპორტულ ღონისძიებაში, სადაც მოიპოვეს 184 საპრიზო ადგილი, რომლებიც ნაწილდება I.II და III ადგილებს შორის.

გიგზავნით ზესტაფონის სომონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის 2026 წლის მიმდინარე 9 თვის კვარტლის ანგარიშს:

გაცნობებთ, რომ ა.ა.ი.პ ზესტაფონის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს 13 სპორტული სახეობა. 2026 წლისთვის ყველა სახეობაში ბავშვთა სრული რაოდენობაა----808 სპორტსმენი, (ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ველოდებით ახალ ნაკადს),კერძოდ:

1. ფარიკაობა-------52 ბავშვი
2. ველოსპორტი--5 ბავშვი
3. კრივი--63 ბავშვი
4. კარატე---39 ბავშვი
5. კინკბოქსინგი----61 ბავშვი
6. ჭადრაკი---74 ბავშვი
7. ძიუდო---172 ბავშვი
8. ქალთა ძიუდო----17 ბავშვი
9. სამბო----153 ბავშვი
10. ქართული ჭიდაობა----29 ბავშვი
11. თავისუფალი ჭიდ.---- 27 ბავშვი
12. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა-----61 ბავშვი
13. რაგბი----55 ბავშვი

2026 წელის განმავლობაში ჩვენმა სპორცმენებმა მონაწილეობა მიიღეს 106 სპორტულ ღონისძიებაში, საიდანაც სულ მოიპოვეს **184** მედალი.

ა(ა) იპ ზესტაფონის მიხელი სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 02).

2026 წლის მესამე კვარტლის ანგარიში სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრში დღეის მდგომარეობით 10 სახეობის

სპორტის სახეობას ეუფლება 590 მდე მოსწავლე სპორტსმენი. შტატების რაოდენობა შეადგენს 51 ერთეულს. გახარჯული თანხა 1/10/2026 წლ;ის მდგომარეობით სუფსიდიისა და საკუთარი შემოსავლების შეადგენს 1179700 ლარს მ.სალაძის სახ.სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრში ფუნქციონირებს 10 სპორტული სახეობა: ფეხბურთი ვაჟები, ფეხბურთის გუნდი" მარგვეთი2006" ,კალათბურთი ვაჟები, კალათბურთი ქალები,ჭიდაობა ძიუდო,ჭიდაობა სამბო,ჭიდაობა ქართული,ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი,კუნგუფუ, კრივი. აგრეთვე ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი.

სპორტის ყველა ამ სახეობაში გაერთიანებულია 590 მოსწავლე , სპორტსმენი,რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირებში,საქართველოს და ევროპის ჩეპიონატებში. ასევე გაცნობებთ, რომ საკუთარი შემოსავლების ბიუჯეტში გეგმით გათვალისწინებული 1000 ლარის ნაცვლად შემოგვივიდა 5800 ლარი. გთხოვთ გაითვალიწინოთ და აგვისახოთ ბიუჯეტში. მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს პირველობაზე ერთი პირვლი ადგილი წყვილებში, მეორე ადგილი ,შერეულ წყვილებში გოგონები და2 მესამე ადგილი ახაზეთის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მწვრთნელი---ავთანდილ ქოჩიაშვილი. ჭიდაობა ძიუდოში დასავლეთ საქართველოსსალიცენზიო ტურნირი 2 მესამე ადგილი .მწვრთნელი -ირაკლი ლომიძე ,ჭიდაობა სამბო 1 მესამე ადგილი,ტაჯიკურ ჭიდაობაში უჩა ტაბატაძემ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი,არჩილ ჩოხელის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი კრივში საქართველოს ჩემპიონატში,რომელიც ჩატარდა ქ.ბათუმში ჩვენმა სპორტსმენებმა აიღეს ერთი ოქრო,1ვერცხლი 1 ბრინჯაოს მედალი,,ერთი ევროპის ვიცე ჩემპიონი,3საქართველოს ჩემპიონი,12 ბრინჯაოს მედალოსანი. მწვრთნელი-გოგა გოგოლიძე. კუნგუფუ -4 პირველი ადგილი, 6 მეორე ადგილი, 4 მესამე ადგილი-მწვრთნელი-ნოდარი გიორგაძე. წარმატებით ჩაატარა ასპარეზობა ინვალიდდ ამპუტანტტა გუნდმა ქ.ზუგდიდშია.ჩიხლაძის სახ.ამპუტანთ ფეხბურთელთა თასის გათამაშებაში მწვრთნელი-მალხაზ ვაჭარაძე. ხელბურთი-სენაკში ახალგაზრდული ჩემპიონატი დასავლეთის ტურნირი 2012-13წწ დაბ.-მეორე ადგილი. მწვრთნელი გ.გაჩეჩილაძე ქართულ ჭიდაობაში მერიის თასის გათამაშებაში უჩა ტაბატაძემ მოიპოვა ოქროს მედალი, მეორე ადგილი -საბა კლდიაშვილი, მიმდინარეობს ფეხბურთის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ამხანაგური და კალენდარული მატჩები.

050105 - დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა

დასვენებისა და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მოწყობისა, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხელშეწყობის დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია ცხრა თვეში 760.9 ათასი ლარის ასიგნება, აქედან;

მიმდინარეობს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სამუშაოები:

სოფელ პირველ სვირში ძელქვებში მინი მოედნის მოწყობა
სოფელ ზოვრეთში მინი მოედნის მოწყობა
ქ. ზესტაფონში ზაქარიაძის ქ. ბ N24-ში მინი მოედნის რეაბილიტაცია
ქ.ზესტაფონში ლესელიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მიმდებარედ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა
სოფ ქვედა საზანოში ტყლაპივაკეში მინი მოედნის მოწყობა
არგვეთაში შაორჰესის დასახლებაში მინი მოედნის რეაბილიტაცია
სოფელ არგვეთის ცენტრში მინი მოედნის რეაბილიტაცია

დასრულებული სამუსაოები:

დაბა შორაპანში მინი მოედნის რეაბილიტაცია
სოფელ ილემში ცენტრში მინი სტადიონის მოწყობა.
ძირულის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ დიდ განთიადში მინი მოედნის მოწყობა

ქალაქ ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში ახალი სპორტულ სკოლაზე ელ. მომარაგების მიზნით ტექნიკური პირობა სამი ფაზა 50 კვტ სიმძლავრეზე მომსახურების

ქალაქ ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში ახალი სპორტულ სკოლაზე სასმელი წყლის მიწოდების ტექნიკური პირობა 32 მმ-იანი მილით მომსახურების.

ქალაქ ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში ახალი სპორტულ სკოლაზე წყალარინების ტექნიკური პირობა 150 მმ-იანი მილით მომსახურების.

კვალითის დასახლებაში ახალ სპორტულ სკოლის ბუნებრივი აირის გარე ქსელის ტექნიკური პირობა.

ა.ა.ი.პ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია სუბსიდია 135,05 ათასი ლარი. მ/შ. მუხლი 2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო 121,76 ათასი ლარი. მ/შ. მუხლი 2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო 121,76 ათასი ლარი. მუხლი 2.1.1.1.4 დანამატი 4,73 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.10 კავშირგაბმულობის ხარჯი 1,10 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.12.1 ელენერგიის ხარჯი. 4,70 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.12.1 სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი. 0,50 ათასილარი. მუხლი 2.7.3.1. დამქირავებლის მიერ გაცემული სოციალური დახმარება. 2,26 III კვარტალიგეგმა 102,35 ათასილარი. ათვისებულია 95,76 ათასილარი მ/შ. მუხლი 2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო 90,06 ათასი ლარი. ათვისებულია 86,14 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.10 კავშირგაბმულობის ხარჯი 1,10 ათასი ლარი.
მუხლი 2.2.3.10 კავშირგაბმულობის ხარჯი 1,10 ათასილარი. ათვისებულია 0,71ათასილარი მუხლი 2.2.3.12.1 ელენერგიის ხარჯი.4,00ათასილარი. ათვისებულია მუხლი 2.2.3.12.1 სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი. 0,50 ათასილარი. ათვისებულია 0,00 ათასი ლარი. 2,22 ათასი ლარი.
მუხლი 2.7.3.1 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით 2,26 ათასი ლარი.
საკუთარი შემოსავლები 20,10 ათასი ლარი მ/შ. მუხლი 2.2.3.1 საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა 5,00 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.4.5 კატრიჯის შეძენა დატუმბვა. 0,3 ათასი ლარი.

მუხლი 2.2.3.7 რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 5,00 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.7 ტრანსპორტის დაქირავები ხარჯი 0,7 ათასი ლარი.

მუხლი 2.2.10.14 სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 5,05 ათასი ლარი.

მუხლი 31.1.2.2.1.2 მაცივრის შეძენა 1,30 ათასი ლარი.

მუხლი 31.1.2.2.1.3 კომპიუტერის შეძენა 1,70 ათასი ლარი.

მუხლი 31.1.2.2.1.5 პრინტერის, სკანერის ასლგადამრების შეძენა 1,05 ათასილარი III კვარტალი გეგმა 14 ათასი ლარი ათვისებულია 6,33 ათასი ლარი. მ/შ. მუხლი 2.2.3.1 საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების,

ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა 4,00 ათასი ლარი. ათვისებულია 1,28 ათასი ლარი. მუხლი 2.2.3.4.5 კატრიჯის შეძენა დატუმბვა. 0,3 ათასი ლარი. ათვისებულია 0,30ლარი. ათასიმუხლი 2.2.3.7 რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 4,00 ათასი ლარი.

მუხლი 2.2.3.7 ტრანსპორტის დაქირავები ხარჯი 0,70 ათასი ლარი. ათვისებულია 0,70 ათასილარი. მუხლი 2.2.10.14 სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 0,95 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა. მუხლი 31.1.2.2.1.2 მაცივრის შეძენა 1,30 ათასი ლარი. ათვისებულია 1,30 ათასი ლარი. მუხლი 31.1.2.2.1.3 კომპიუტერის შეძენა 1,70 ათასი ლარი. მუხლი ათვისებულია 1,70 ათასი ლარი. 31.1.2.2.1.5 პრინტერის, სკანერის და ასლგადამღების შეძენა 1,05 ათასი ლარი. ათვისებულია1,05 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 02)

1. 2026 წლის 9 თვის შესრულება

ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტის გეგმა არის 309,74 ათასი ლარი.

შესრულება მიღებული სუფსიდიიდან შეადგენს 309736.ლარს და 99 თეთრს , რომლის ძირითადი ნაწილი არის ხელფასები, ჟურნალ-გაზეთები და კომუნალური ხარჯი.

2026 წლის 9 თვეში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და მასში შემავალ სასოფლო განყოფილებებში ჩატარებული ღონისძიებები: წიგნის საჯაროდ კითხვის დღე
ჩატარდა ყველა ქალაქსა და სოფელში, ჩემი საყვარელი წიგნი, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „დედავ ისმინე ქართლის ვედრება, დედაენის დღისადმი მიძღვნილი „ო ენავ ჩემო“, ჩემი საყვარელი წიგნი, „თავისუფლება ლომთა ხვედრია, თვითნასწავლი მხატვრების გამოფენა, 1 ივნისი ბავშვთა საერთაშორისო დღეა, გიგანტური წიგნის ორტომეულის {გაზეთ ივერიის 1886-87 წლის} პრეზენტაცია. ღონისძიებების ჩამონათვალი თან ერთვის.

2026 წლის ცხრა თვის მანძილზე ბიბლიოთეკა მოემსახურა 3988 მკითხველს.

ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურის და შემოქმედების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ა.(ა) ი.პ.ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრის ძირითადი მიზანია კლასიკური და ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაცია, ესთეტიკური, კულტურული, გასართობი და ინფორმაციული საქმიანობა.

კულტურისა და შემოქმედებითი ცენტრის მუშაობაში ყოველთვის გათვალისწინებულია რელიგიური და საერო ხასიათის ღონისძიებები, ღვაწლმოსილი ადამიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი, შემეცნებითი და გასართობი ხასიათის საღამოები. საერთო ჯამში კულტურისა და შემოქმედებითი ცენტრის მიერ განხორციელებული კონცერტები და ყველა სხვა სახის პროექტი გამიზნულია კულტურის სფეროს განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის .

ცენტრის ბაზაზე არსებობს სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები. ესენია:

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ზესტაფონი (43 კაცი)

ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჯავარდენი“ (60 ბავშვი)

ხალხური საკრავების ანსამბლი (26 ბავშვი)

ბავშვთა თეატრ-სტუდია ,,იმერეთის მარგალიტები“ (13 ბავშვი)

რენე აბესაძის სახელობის ახალგაზრდული თეატრ-სტუდია ,,მართვე“ (32 ბავშვი)

გამოყენებითი ხელოვნება (4 ბავშვი)

ვოკლურ-ინსტრუმენტული ანსამბლი (7 ბავშვი)

მომღერალ ქალთა ანსამბლი ,,ჰარმონია“(12 წევრი)

თოჯინების თეატრი (7 კაცი)

2026 წლის გამორჩეული იყო ღონისძიებების მრავალფეროვნებით და სასცენო პრემიერების სიხშირით. შემოქმედებითმა კოლექტივებმა გაზარდეს თავიანთი რეპერტუარი და ასევე შეხვედრები გულშემატკივრებთან და მსმენელებთან.

მომღერალ ქალთა ანსამბლმა ,,ჰარმონიამ“ მონაწილეობა მიიღო პროექტ ,,ქართულში“ .

თოჯინების თეატრმა 33-ჯერ გამართა სხვადასხვა საბავშვო სპექტაკლი სკოლამდელი და დაწყებითი კლასების აღსაზრდელებისათვის.

რენე აბესაძის სახელობის ახალგაზრდულმა თეატრ-სტუდია ,,მართვემ“, გამართა პრემი-

ერა სპექტაქლის ,, დოქტორ პაპატაჩის ვალსი “ , გარდა პრემიერისა თეატრმა აჩვენა სპექტაკლები ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ,,თეთრი ბაირაღები“ , ,,ანნა ფრანკის დღიურები“და სხავ.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ,,ზესტაფონის“ ვაჟთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო რუსთავი-2 -ის ტელევიზიის პროექტში ,,ხალხური“, ასევე ანსამბლამა მონაწილეობა მიიღო სიმღერის

კონკურს ,,ჩემი საქართველო“.

ბავშვთა თეატრ-სტუდიამ ,, იმერეთის მარგალიტებმა“ გამართეს პრემიერა სპექტაკლის

,,მამობილი“.

ეს პერიოდიასევე გამორჩეული იყო მნიშვნელოვანი გასტროლებით, კერძოდ; სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ზესტაფონი“ შემოქმედებითი პროგრამით იმყოფებოდა პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ,,ქართული დიასპორის“ კონცერტში. გასტროლი წარმატებით გაიარა ანსამბლმა და პოლონელი მაყურებლებისგან ბევრი ოვაცია დაიმსახურა.

თოჯინების თეატრი სექტემბრის თვეში იმყოფებოდა თოჯინების ტეატრის რესპუბლიკურ ფესტივალზე ქ. ქობულეთში, სადაც ფესტივალის სამი მნიშვნელოვანი პრიზი დაიმსახურა-საუკეთესო რეჟისურისატვის, საუკეთესო სამსახიობო შესრულებისა და სპექტაკლის საუკეთესო დეკორეციული გაფორმებისათვის.

ახალგაზრდული თეატრ-სტუდია ,,მართვეს“ მსახიობები რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმში ,,გურია“ მონაწილეობისთვის მიწვეულნი იყვნენ ფილმის ვენეციის კინოფესტივალზე წარდგენასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე, ასევე ,,მართვეს“ ნორჩ მსახიობებს შეხვედრა მოუწყვეს მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც მათ ეს მნიშვნელოვანი წარმატება პირედად მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა და მერიის წარმომადგენლებმა.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)

მუზეუმების გაერთიანების 9 თვის ბიუჯეტის გეგმა შეადგენს 124500 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურებაა 99190 ლარი, მათშორის: თანამდებობრივი სარგო 97290 ლარი, დანამატი 900 ლარი, საქონელი და მომსახურეობა 17160 ლარია: მათშორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 3660 ლარს, მივლინება ქვეყნის შიგნით 700 ლარს, ოფისის ხარჯი შეადგენს 10000 ლარს, აქედან საკანცელარიო საქონელი 600 ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი (კატრიჯების შძენა და დატუმბვა) 800 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 850 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯია 1200 ლარი, კომუნალური 6550 ლარი (ელექტროენერგია 5200 ლარი, წყალი 300 ლარი, ბუნებრივი აირი 900 ლარი), წარმომადგენლობითი ხარჯი 400 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 2400 ლარი, მათშორის კულტურულ, სპორტული ღონისძიებების ხარჯი 1000 ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და

მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი 1400 ლარი, პერსონალის დაზღვევის ხარჯი 1050 ლარი, არაფინანსური აქტივები, (არასაცხოვრებელი შენობები) 7200 ლარი.

საკასო შესრულება შეადგენს 104248 ლარს: შრომის ანაზღაურებამ შეადგინა: 90860 ლარი მათშორის თანამდებობრივი სარგო 89960 ლარი, დანამატი 900 ლარი. საქონელი და მომსახურება 5150 ლარია, აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებმა შეადგინა 47 ლარი, ოფისის ხარჯმა 3160 ლარი: საკანცელარიო საქონელი 98 ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი (კატრიჯების შძენა და დატუმბვა) 582 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 274 ლარი, კომუნალური მომსახურეობა 1480 ლარი, (ელექტროენერგიის ხარჯი 746 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯი 678 ლარი, წყლის ხარჯი 56 ლარი) კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 729 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა 1940 ლარი, აქედან კულტურულ, სპორტული ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა 697 ლარი, ხოლო სხვა დსანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1250 ლარი, აქედან 500 ლარი გადაერიცხა ახალგაზრდა ფინანსიტთა ასოციაციას, ხოლო 325 ლარი ელექტრონული შტემპის დამზადებას მოხმარდა, თანადაფინანსების სახით გაიცა 415 ლარი (წიგნის ბეჭდვა) პერსონალის დაზღვევის ხარჯია 1040 ლარი, არაფინანსური აქტივები, (არასაცხოვრებელი შენობები) 7200 ლარი.

გაერთიანებას აპრილის თვეში ჰქონდა პროექტი მიძღვნილი რევაზ ინანიშავილის ასი წლის იუბილესადმი სახელწოდებით: „ღია გაკვეთილი მუზეუმში“ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობით, ივნისი თვეში უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმმა უმასპინძლა პროექტს „ჩვენ ვაცოცხლებთ ტრადიციებს“. ასევე მუზეუმმა უმასპინძლა ბატონ შალვა ხეცაძეს საინტერესო საუბრებით ნიკოლაძეთა გვარის ისტორიაზე, ივნისის თვეში ქალბატონ ნანა ქარდავას ჰქონდა ლექცია თემაზე: შეშრვაშიძეთა და ემხუართა როლი ქართული კულტურის ისტორიაში. განახლდა პროექტი პირველ კლასელთათვის „მითი და რეალობა“

გაერთიანებამ უმასპინძლა 1688 ვიზიტორს, მათშორის იყო 11 უცხოელი სტუმარი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 05)

სამუსიკო სკოლაში დღეის მონაცემებით 244 მოსწავლე ეუფლება 4 სხვადასხვა სპეციალობას, როგორიცაა: ფორტეპიანო- 149 მოსწავლე , გიტარა- 27 მოსწავლე, ვიოლინო- 13 მოსწავლე, საესტრადო ვოკალი- 55 მოსწავლე.

2026 წლის 9 თვეში საერთაშორისო და ეროვნულ კონკურსებში და ფესტივალებში ლაურეატ მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში მიღწეულ შედეგებს:

4- 10 ივლისი ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე

,,BORJOMI-2026'' 2 პირველი პრემია და ლაურეატის წოდება, და 1 ფესტივალის ლაურეატი.

1-7 ივლისს სომხეთში, ქ ერევანში გამართულ ბაროკოს მუსიკის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე ,,GENERALBASS'' მე-3 პრემია და ლაურეატის წოდება.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ზესტაფონის ელდარ შალამბერიძის სკოლისთვის 2026 წლის პირველი და მეორე კვარტალი საკმაოდ წარმატებული იყო. ცხრა თვის მანძილზე სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ, საერთაშორისო და რეგიონალურ სხვადასხვა ფესტივალებზე, კონკურსებსა და მუსიკალურ პროექტებში, სადაც დაჯილდოვდნენ I,II,III საპრიზო ადგილებით,ნომინაციებით და ლაურეატის წოდებებით.

2026 წლის 31 იანვარს ზესტაფონის ხელოვნების სკოლამ უმასპინძლა პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის მუსიკალურ პროექტს ,,ვალერიან შიუკაშვილი და თაობა'' წარმოგიდგენთ,რომელშიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების მუსიკალური სკოლების წარმატებულ მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი სკოლის ერთი მოსწავლე.

2026 წლის 9 მარტს პროექტში ,,ვალერიან შიუკაშვილი და თაობა'' თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის ერთმა მოსწავლემ.
2026 წლის 24 მარტი- საქართველოს ხელოვანთა კავშირის მე-19 ეროვნული კონკურს- ფესტივალში ,,მომავლის ვარსკვლავები'' მონაწილეობა მიიღო 16 მოსწავლემ,გალა- კონცერტი 27 აპრილი - 6 მონაწილე. დაჯლდოვდა 3 მოსწავლე I პრემიით, 2 მოსწავლე II პრემიით. ერთი მოსწავლე- ლაურეატის წოდებით.
2026 წლის 30 მარტი- წყალტუბოს ი.ს. ბახის მე-9 ეროვნულ კონკურსზე მონაწილეობა მიიღო ხელოვნების სკოლის 7 მოსწავლემ, გალა კონცერტზე 31 მარტს- ერთი მოსწავლე დაჯილდოვდა I პრემიით, ერთი მოსწავლე - II პრემიით, დიპლომები.
2026 წლის 3 აპრილს კლასიკური მუსიკის მე-18 კონკურს-ფესტივალში ,,იპოვე ვარსკვლავი შენი''მონაწილეობა მიიღო 19 მოსწავლემ, გალა-კონცერტი 2 მაისი- 7 მოსწავლე. 6 მოსწავლე - I პრემია, 8 მოსწავლე - II პრემია, 5 მოსწავლე - III პრემია.
2026 წლის 4-7 აპრილს ზესტაფონის მერიის თანადგომით და ფინანსური ხელშეწყობით ზესტაფონის ხელოვნების სკოლაში ჩატარდა ქართული კლასიკური მუსიკის მე-10 ეროვნული კონკურსი, სადაც მონაწილეობდა საქართველოს რეგიონების 21 სამუსიკო და სახელოვნებო სკოლები. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ზესტაფონის ხელოვნების სკოლის 11 მოსწავლემ. გალა-კონცერტზე 2 მოსწავლე - I პრემია(1 სტიპენდიანტი), 3 მოსწავლე - II პრემია(ერთი სტიპენდიანტი),3 მოსწავლე - III პრემია,2 მოსწავლე- დიპლომი.
2026 წლის 7 მაისს ზესტაფონის ხელოვნების სკოლის 8 მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ჭიათურის ქართული სიმღერის მე-3 ეროვნული კონკურსში.გალა-კონცერტი 10 მაისი, დუეტი - I პრემია, 3 მოსწავლე -II პრემია,3 მოსწავლე - III პრემია.
2026 წლის 22 მაისს ზესტაფონის ხელოვნების სკოლამ მონაწილეობა მიიღო სენაკის რეგიონალურ არტ - ფესტივალში. 29 მონაწილე მოსწავლე, გალა-კონცერტი 24 მაისი, 3- ლაურეატი,საპატიო დიპლომები და სიგელები.
2026 წლის 30 მაისს ზესტაფონის ხელოვნების სკოლის ერთმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო თბილისი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურს-ფესტივალში ,,რონდო-კლასიკა''.გალა-კონცერტი 21 ივნისი და ჯილდო I პრემია.
2026 წლის 4 ივნისს ზესტაფონის ხელოვნების სკოლამ მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის კ.ჩერნის მე-4 კონკურსში. 7 მონაწილე მოსწავლე. გალა-კონცერტი 6 ივნისი, 3 მოსწავლე-I პრემია(ერთი მოსწავლე სტიპენდიანტი),1 მოსწავლე- II პრემია, 2 მოსწავლე - III პრემია.
2026 წლის ივნისის თვეში ზესტაფონის ხელოვნების სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა თემატური კონცერტები, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალების ლაურეატ მოსწავლეთა კონცერტი,სკოლის მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტი,პედაგოგთა კლასის მოსწავლეთა კონცერტები.

ძეგლთა დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 07)

მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა 2.7 ათასს ლარს შეადგენს, რომელიც დახარჯულია სხვადასხვა სახის მცირეფასიანი ინვენტარის შესაძენად.

კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 09).

კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობის 9 თვის ფაქტიურმა შესრულებამ 309,81 ათასი ლარი შეადგინა , ანუ გემიურის (1590,0) 19,5 %-ი.

მიმდინარეობს:

ქ. ზესტაფონში კვალითის დასახლებაში მელქამის ქუჩაზე სკვერის მოწყობა.
ქ.ზესტაფონში ლესელიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მიმდევბარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა რირებულებით
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“
ქ.ზესტაფონში, აჯამურის დასახლებაში სკვერის რეაბილიტაცია
ქ. ზესტაფონში ირინეს პარკის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია

კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 10)

კულტურის ღონისძიების 9 თვის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 48,5 ათასი ლარი ანუ გემიურის (73,6) 98,8 %-ი. სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისათვის.

ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03) ღონისძიების 9 თვის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 71,45 ათასი ლარი ანუ გემიურის (147,7) 48,4 %-ი. თანხები მიმართულია :

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიებაზე. სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების, სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში მედლებისა და თასების შესყიდვისათვის. დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღსანიშნავი ღონისძიება. შესყიდული იქნა წინდები და ბუკლეტები. სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ რეგიონალურ თამაშებში მონაწილეობისათვის გაიხარჯა კვების თანხა. სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ რეგიონალურ თამაშებში მონაწილეობისათვის გაიხარჯა ტრანსპორტირების (ქუთაისი, სამტრედია, ბაღდათი) ტრანსპორტის ხარჯი. 9 აპრილის ღონისძიებისათვის შესყიდული იქნა: სანთლები, დროშები. ,,ქართული ლიგა“-ს სატელევიზიო პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდების სასტუმროში განთავსების მომსახურეობის შესყიდვა. 26 მაისისათვის, თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის დღისათვის, გარემოს დაცვის დღისათვის მაისურების შესყიდვა. გარემოს დაცვის დღისათვის შესყიდული იქნა ქუდები, ბუკლეტები, N4 საჯარო სკოლის თანადაფინანსება პროექტის განხორციელების მიზნით. 1 ივნისის ღონისძიების ჩატარების დაფინანსება. ფოტოკონკურსი 2026. შესყიდული იქნა: ფოტოები, ალბომები. 12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიება-დიჯეი, ფერების ფესტივალი. მაისურები.

ეპარქიის ხარჯი (პროგრამული კოდი 05 04)

ეპარქიის მიერ 2026 წლის 9 თვეში გახარჯულია 159.5 ათასი ლარი გეგმის (159.5 ათასი ლარი) 100%. ხარჯები გაწეულია მეურნეობის მოვლა-შენახვისათვის. შეძენილია ეკლესიის ინვენტარი. გაწეულია ხარჯი ეპარქიის რეზიდენციის სარემონტო სამუშაოებისათვის.

ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი ,,მარგვეთი“ (პროგრამული კოდი 05 05)

ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი ,,მარგვეთი“ს 2025 წლის 9 თვეში გაწეული ხარჯი შეადგენს 300,0 ათასი ლარს, რაც წლიური გეგმის (300,0 ათასი ლარი) 100%-ია. მუნიციპალიტეტმა კლუბს გაუწია ფინანსური დახმარება რათა კლუბმა ჩაატაროს საშინაო სუპერ ლიგის მატჩები, რასაც უკვე ორი წელი ატარებს, რათა შესაძლებელი გახდეს ცხოვრების ჯანსაღი წესი კალათბურთელი ახალი თაობისათვის.

6) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 3390,29 ათასი ლარით, ანუ გეგმის (3784,2) 89,3 %. მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 207,3 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 2744,5 ათასი ლარი.

	დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის ფაქტი	პროცენტი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 784,2	3 390,29	89,6

06 01	ჯანმრთელობის დაცვა	245,5	241,75	98,5
06 01 01	ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრი	245,5	241,75	98,5
06 01 02	ამბულატორიები	0,0	0,00	
06 02	სოციალური პროგრამები	3 510,7	3 128,64	89,1
06 02 01	მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების ფინანსური დახმარება	1 141,3	1 080,81	94,7
06 02 02	ეპილეფსიისთა და პარკინსონით დაავადებულები	15,0	0,00	0,0
06 02 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება	189,7	189,60	99,9
06 02 04	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის ,,უფასო სადილი-''თ უზრუნველყოფა	111,9	98,55	88,0
06 02 05	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	55,0	38,15	69,4
06 02 06	სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება	533,6	445,71	83,5
06 02 07	სარიტუალო- გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება	10,9	5,25	48,3
06 02 08	სადღესასწაულო დახმარება	205,0	135,90	66,3
06 02 09	მარჩენალდაკარგულების დახმარება	9,4	8,70	93,0
06 02 10	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაზლებლობის უსინათლოების დახმარება	131,4	128,53	97,8
06 02 11	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება	53,5	46,50	86,9
06 02 12	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	500,0	403,24	80,6
06 02 14	ფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით და ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ფინანსური დახმარება	153,6	152,65	99,4
06 02 15	სამედიცინო მომსახურეობის ფინანსური დახმარება	400,6	395,06	98,6
06 03	ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი)	28,1	19,90	70,9
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	15,6	2,52	16,2
07 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	15,6	2,52	16,2

ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

2026 წლის დელეგირებული ბიუჯეტის განაწილება, ასეთია:

ტრანსფერის მოცულობა-317 660 ლარი

√ ფონდებს გარეშე-7250 ლარი

√ სულ ბიუჯეტი-324 910 ლარი

9 თვის განმავლობაში დაიხარჯა:

√ შრომის ანაზღაურება-217 175 ლარი (75 % საერთო ბიუჯეტის)

√ საოპერაციო ხარჯები-23 196 ლარი მათ შორის:

√ ოფისის ხარჯები-1977 ლარი

√ კომუნალური ხარჯები-3681 ლარი

√ სხვა ხარჯები: 17538 ლარი

√ ტრანსპორტირების ხარჯი- 1378 ლარი

სულ ხარჯი შეადგენს 241749 ლარს (საერთო წლიური ბიუჯეტის 74,4%)

√ შესრულება 3 კვარტალში შეადგენს წლიური ბიუჯეტის-98,5%

დელეგირებული ფუნქციები:

ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა: ობიექტის რაო-ბა-73, წლის გეგმა-67, 9 თვის შესრულება -50, მ.შ. არაგეგმიური 1. შესრულების % --- 75%. ბაღებში არ აქვთ ერთჯერადი ხელსახოცები, სარგებლობენ ინდივიდუალური პირსახოცებით, სარემონტოა 5, ასაშენებელია 3, სასმელად ვარგისი წყლის დეფიციტი-2, სპორტული დარბაზი-2, მოსაწესრიგებელია სადრენაჟო სისტემა-3, 73 დაწესებულებიდან 6 არის მიმდინერე კაპიტალურ რემონტში წლის ბოლომდე. მოძველებული ინფრასტრუქტურა 8, შენობა თბება შეშით 6.

ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. დაგეგმილი 17, 9 თვეში განხორციელებული 12. შესრულების % -- 70 %.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზ. მნიშვნელობის დაწესებულებების ზედამხედველობის მონიტორინგს დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობა-66, წლის განმავლობაში დაგეგმილი მონიტორინგებისა და სუპერვიზიების რაოდენობა-66, განხორციელებული მონიტორინგებისა და სუპერვიზიების რაოდენობა-58, შესრულების% -- 87%. გამდინარე წყალი არ ჰქონდა 5, მრავალჯერადი გამოყენების „კრიტიკული საგნების“ გასასუფთავებლად და გასასტერილებლად ადგილზე არ არსებობდა შესაბამისი პირობები და საშუალებები- 7, დაწესებულებაში არსებული საგნების ზედაპირები და აღჭურვილობა არაა გაწმენდილი და სუფთა-6, არ აწარმოებდა სტერილიზაციის აღრიცხვის ჟურნალს-3.

გ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისთვის მიწოდებული მასალების მიღება, შენახვა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისთვის განაწილება (სამედიცინო დაწესებულებების პირველადი მონიტორინგი სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე და პერიოდული მონიტორინგი/სუპერვიზია სერვისების შესაბამისობისა და მოცვის მაჩვენებლების ზედამხედველობის მიზნით): მონიტორინგს დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობა-28, წლის განმავლობაში დაგეგმილი მონიტორინგებისა და სუპერვიზიების რაოდენობა-56, განხორციელებული მონიტორინგებისა და სუპერვიზიების რაოდენობა-48, შესრულების პროცენტი 100%. მ/შ არაგეგმიური მონიტორინგი-13.

დ) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა, ჰელმინთოზებზე კვლევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში: მონიტორინგს დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობა-34, წლის განმავლობაში დაგეგმილი მონიტორინგებისა და სუპერვიზიების რაოდენობა-20, განხორციელებული მონიტორინგებისა და სუპერვიზიების რაოდენობა-12, აღებულია 532 ანალიზი. მ/შ 340 ბავშვი, საერთო ინვაზიის პროცენტი % 25.2 ინვაზიის მაღალი მაჩვენებელი 5 დაწესებულებაში (28-37 %).

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა და ტუბერკულოზის კონტროლი:

2026 წლის 9 თვეში: სასწრაფო შეტყობინებები - ფ 58/1 - 109.

2026 წელს შეტყობინება ტუბერკულოზის შესახებ -27, აგრეგირებული შეტყობინებები - ფ 58/3–1961,

იმუნიზაციის მაჩვენებელი, 9 თვის შედეგების მიხედვით, დადგენილი ნორმის ფარგლებშია-75.5 % (გეგმა-50 %-მდე).

მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამებით:

C ჰეპატიტზე სკრინინგით მოცვა-39,8 % (გეგმა-95.0%) 3023 პაციენტი,

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით მოცვა -7,3 % (გეგმა–70.0%), 258 პაციენტი.

ძუძუს კიბოს სკრინინგით მოცვა-9,4% (გეგმა-70.0 %), 303 პაციენტი.

მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგით მოცვა-3,2 %, (გეგმა-70.0 %). 48 პაციენტი.

სისხლის დონაცია ჩატარებულია- ივნისში-36 დონორი

ორსულების სახელმწიფო პროგრამა 402 ბენეფიციარი, 9 თვეში გამოკვლეულია 301, 74.9 %. ჰექსა წლამდე გეგმა–291, შესრულება 217 (74,6 %), წწყ გეგმა 542, შესრულება–414 (76,4 %), აპვ–2 გეგმა–661, შერულება 226 (34,2 %).

მალარიის სახ.პროგრამის ფარგლებში შესწავლილი იქნა 3 საკონტროლო ბინა, 3 საბურავების საწყობი, 6 ხელოვნური ტბა, 1 ვულკანიზაცია და 17 კორპუსის სარდაფი. შემოტანილი იქნა დ.კ.ჯ.ე.ც-იდან 40 კგ.სოლფაკი. დაიხარჯა 40 კგ სოლფაკი, დამუშავდა 80000კვ.მეტრი ფართობი. სულ 30 ობიექტი, ორჯერადად.

სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურიდახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური პროგრამები მოიცავს: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები /რეგისტრირებული/ (მათშორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული დევნილი) მოქალაქეებისათვის დახმარების ღონისძიებებს: ოჯახების განვითარების, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის და პრევენციული ღონისძიებების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრების და მსგავსი გაერთიანებების მიმართ დახმარების ღონისძიებებს, სადაც მიმდინარეობს, მხოლოდ სოციალური ხასიათის მხარდამჭერი ღონისძიებებები და მასში გაერთიანებულია გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირთა ჯგუფი (სოციალურიჯგუფი).

ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის 2026 წლის 9 თვის პროგრამების შესრულება.

N	პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	რამდენი მოქალაქე დაკმაყოფილდა
1.	06 02 01	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფ/დ	1141250	1080808,8	3887
		1. ლეიკემიით, ჰემოფილიით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებული ბენეფიციარები		17900	30
		2. შ.შ.მ სტატუსის მქონე ბენეფიციარები (ცერებრალური)		70600	117
		3. შ.შ.მ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები		19200	71
		4. მარტოხელა ოჯახები (დედა, მამა) (18 წლამდე ასაკის ბავშვები)		15800	79
		5. მრავალშვილიანი ოჯახები (18 წლამდე 4 და მეტი შვილი		129000	258
		6. ლაბორატორიულ - დიაგნოსტიკური კვლევა		326730,3	1728
		7. რადიოაქტიური იოდით მკურნალობა		2000	4
		8. ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება		162300	373
		9. ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დახმარება		15300	51
		10.განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტ.მუნ.ტერ.რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება		238600	1036
		11.ქვეპროგრამა: ,,გადაუდებელი საჭიროების" პროგრამა.		28200	53
		12.ქვეპროგრამა :მოსახლეობისათვის მტაცებელი ცხოველებიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურება		36200	63
		13.ქვეპროგრამა: ,,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშეშე მერქნით დახმარება“			
		14. ქვეპროგრამა: ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება ძირითადი სამიზნე ჯგუფები პირდაპირი ქალები 60+, მამაკაცები 65+ (15 ოჯახზე).			
		15. ქვეპროგრამა: ბავშვიანი ოჯახების დახმარება.		12477	12
		16.ქვეპროგრამა: სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების ფინანსური დახმარება.		5500	11

		17. ქვეპროგრამა : რეინტეგრირებული ახალგაზრდების დახმარება		1000	1
2	06 02 02	ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულთა დახმარება.	15000	0	0
	06 02 03	თირკმლის უკმარისობით (ჰემოდიალიზი, პერიტონიალური) ფსორიაზით (გენერალიზებული ფორმა) (ვულგარული ფორმა) ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება	189700	189600	96
4	06 02 04	„უფასო სადილი"-თ უზრუნველყოფა	111925	98548	120
5	06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ახალშობილები)	55000	38150	86
		ახალშობილები		36750	78
		ა) ქვეპროგრამა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება		0	0
		ბ) ქვეპროგრამა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა		1400	7
6	06 02 06	სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება მ/შ	533613	445712	20 მათ შორის: 8 ოჯახი სტიქია (ხანძარი)
		საბიუჯეტო	65000	45300	
		საქ მთავრობის 19,03,26 წ N580 განკარგულება	380000	330000	
		24.04.2026 წ N826 მთავრობის განკარგულება	88613	70412	
7	06 02 07	სარიტუალო - გარდაცვლილთა ოჯახების ფ/დ	10875	5250	20
		სარიტუალო გარდაცვლილთა (ადგილობრივი)		4500	17
		სარიტუალო გარდაცვლილთა (დელეგირებული)		750	3
8	06 02 08	სადღესასწაულო დახმარება	205000	135897	1073
		ა) ფულადი ფორმით			553
		ბ) მატერიალური ფორმა			520
9	06 02 09	მარჩენალდაკარგულების დახმარება	9350	8700	58
10	06 02 10	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მხედველობით მკვეთრი და მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება	131400	128530	264
11	06 02 11	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეების დახმარება	53500	46500	311
12	06 02 12	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	500000	403240	151
13	06 02 14	ფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით, ცელიაკიით, შაქრიანი დიაბეტით და ფილტვების ინტერსტიციული ავადმყოფობით დაავადებული ბავშვების და ქრონიკული ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლის ზემოთ პირების ფინანსური დახმარება.	153550	152650	47
14	06 02 15	სამედიცინო მომსახურეობის ფ/დ	400550	395057	1008
		ლაბორატორიული დიაგნოსტიკა პეტ/კტ კვლევა.			
		სულ ჯამი :	3510713	3128642,8	7141

15	06 03	ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი)	28050	19899,8	56
		სულ ჯამი	3538763	3148542,6	

III თავი.
მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულოი ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების 9 თვის შესრულება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების ნაერთი ბიუჯეტი	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულების %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	980,8	980,8		980,8	980,8		100,0
შემოსულობები	13483,2	13123,3	359,9	12074,4	11719,0	355,4	89,3
გადასახდელები	13528,2	13123,3	404,8	12024,3	11719,0	305,3	89,3
ხარჯები	13210,2	12809,4	400,8	11920,6	11619,3	301,3	90,7
შრომის ანაზღაურება	9519,9	9355,2	164,7	9188,9	9043,5	145,4	96,7
საქონელი და მომსახურება	3461,6	3254,1	207,6	2544,9	2414,2	130,7	74,2
სოციალური უზრუნველყოფა	62,0	62,0	0,0	55,3	55,3	0,0	89,1
სხვა ხარჯები	166,7	138,1	28,5	131,5	106,3	25,2	77,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	318,0	313,9	4,1	103,7	99,7	4,1	31,8
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი (03 01+02 02 05)	2026 წლის III კვ. გეგმა			2026 წლის III კვ. ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	168,0	168,0	0,0	168,0	168,0	0,0	100,0
შემოსულობები	3706,8	3678,3	28,5	3056,5	3023,7	32,8	82,2
გრანტები	3678,3	3678,3	0,0	3023,7	3023,7	0,0	82,2
სხვა შემოსავლები (ავტობუსის მგზავრობის გადასახადიდან)	0,0	0,0	28,5	0,0	0,0	32,8	
ნაშთი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
გადასახდელები	3678,3	3678,3	0,0	3023,7	3023,7	0,0	82,2
ხარჯები	3561,7	3531,1	30,6	3044,5	3015,7	28,8	85,4

შრომის ანაზღაურება	2001,9	2001,9	0,0	1815,0	1815,0	0,0	90,7
საქონელი და მომსახურება	1449,5	1418,9	30,6	1139,3	1110,5	28,8	78,3
სოციალური უზრუნველყოფა	38,0	38,0	0,0	31,7	31,7	0,0	83,4
სხვა ხარჯები	72,3	72,3	0,0	58,5	58,5	0,0	80,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	147,2	147,2	0,0	8,0	8,0	0,0	5,4
გარე განათება (02 02 05)	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	6,0	6,0	0,0	6,0	6,0	0,0	100,0
შემოსულობები	799,7	799,7	0,0	746,2	746,2	0,0	93,3
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	799,7	799,7	0,0	746,2	746,2	0,0	93,3
გადასახდელები	799,7	799,7	0,0	746,2	746,2	0,0	93,3
ხარჯები	784,3	784,3	0,0	746,2	746,2	0,0	95,1
შრომის ანაზღაურება	105,6	105,6		96,3	96,3		91,2
საქონელი და მომსახურება	678,7	678,7		649,9	649,9		95,8
სხვა ხარჯები	0,0			0,0			
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,4	15,4		0,0	0,0		
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი (03 01)	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	162,0	162,0	0,0	162,0	162,0	0,0	100,0
შემოსულობები	2926,8	2878,6	48,2	2330,0	2277,5	52,5	79,1
გრანტები	2878,6	2878,6	0,0	2277,5	2277,5	0,0	79,1
სხვა შემოსავლები(ავტობუსით მგზავრობის საფასური)	28,5	0,0	28,5	32,8	0,0	32,8	
ნაშთი	0,0	0,0	19,7	0,0	0,0	19,7	
გადასახდელები	2926,8	2878,6	48,2	2306,9	2277,5	29,4	79,1
ხარჯები	2778,0	2746,8	31,2	2298,9	2269,5	29,4	82,6
შრომის ანაზღაურება	1896,3	1896,3	0,0	1718,7	1718,7	0,0	90,6
საქონელი და მომსახურება	770,8	740,2	30,6	489,4	460,6	28,8	62,2
სოციალური უზრუნველყოფა	38,0	38,0	0,0	31,7	31,7	0,0	83,4
სხვა ხარჯები	72,9	72,3	0,6	59,1	58,5	0,6	80,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	148,8	131,8	17,0	8,0	8,0	0,0	6,1
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი (03 01 01)	2026 წლის III კვ. გეგმა			2026 წლის III კვ. გეგმა			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	149,0	149,0	0,0	149,0	149,0	0,0	100,0
შემოსულობები	2701,7	2653,5	48,2	2138,3	2085,8	52,5	78,6
ნაშთი	19,7	0,0	19,7	19,7	0,0	19,7	
გრანტები (საქართველოს ბანკიდან)	0,0	0,0		0,0	0,0		
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	2653,5	2653,5	0,0	2085,8	2085,8	0,0	78,6

სხვა შემოსავლები(ავტობუსით მგზავრობის საფასური)	28,5	0,0	28,5	32,8	0,0	32,8	
გადასახდელები	2701,7	2653,5	48,2	2115,2	2085,8	29,4	78,6
ხარჯები	2564,2	2533,0	31,2	2115,2	2085,8	29,4	82,3
შრომის ანაზღაურება	1715,5	1715,5		1553,0	1553,0		90,5
საქონელი და მომსახურება	742,8	712,2	30,6	475,2	446,4	28,8	62,7
სოციალური უზრუნველყოფა	33,0	33,0		27,9	27,9		84,5
სხვა ხარჯები	72,9	72,3	0,6	59,1	58,5	0,6	80,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	137,5	120,5	17,0	0,0	0,0		0,0
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი (03 01 03)	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	13,0	13,0	0,0	13,0	13,0	0,0	100,0
შემოსულობები	213,6	213,6	0,0	191,7	191,7	0,0	89,7
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	213,6	213,6	0,0	191,7	191,7	0,0	89,7
გადასახდელები	213,6	213,6	0,0	191,7	191,7	0,0	89,7
ხარჯები	202,3	202,3	0,0	183,7	183,7	0,0	90,8
შრომის ანაზღაურება	180,8	180,8		165,7	165,7		91,6
საქონელი და მომსახურება	16,5	16,5		14,2	14,2		86,1
სოციალური უზრუნველყოფა	5,0	5,0		3,8	3,8		76,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,3	11,3		8,0	8,0		70,8
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი (03 01 04)	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
შემოსულობები	11,5	11,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	11,5	11,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	11,5	11,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ხარჯები	11,5	11,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საქონელი და მომსახურება	11,5	11,5		0,0	0,0		0,0
	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება 04 01		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	464,3	464,3	0,0	464,3	464,3	0,0	100,0
შემოსულობები	5642,3	5642,3	0,0	5151,5	5151,5	0,0	91,3
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	5642,3	5642,3	0,0	5151,5	5151,5	0,0	91,3
გადასახდელები	5642,3	5642,3	0,0	5151,5	5151,5	0,0	91,3
ხარჯები	5499,5	5499,5	0,0	5075,3	5075,3	0,0	92,3
შრომის ანაზღაურება	4301,9	4301,9		4255,0	4255,0		98,9
საქონელი და მომსახურება	1165,6	1165,6		790,6	790,6		67,8
სოციალური უზრუნველყოფა	24,0	24,0		23,6	23,6		98,2
სხვა ხარჯები	8,0	8,0		6,1	6,1		76,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	142,8	142,8		76,3	76,3		53,4
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა 05 01 02	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	43,0	43,0	0,0	43,0	43,0	0,0	100,0
შემოსულობები	526,8	524,7	2,1	464,2	462,7	1,5	88,2
სხვა შემოსავლები (იჯარის)	2,1	0,0	2,1	1,5	0,0	1,5	
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	526,2	524,7	1,5	462,8	462,7	0,1	88,2
გადასახდელები	526,2	524,7	1,5	462,8	462,7	0,1	88,2
ხარჯები	524,6	523,2	1,5	461,2	461,1	0,1	88,1
შრომის ანაზღაურება	351,6	351,6		331,5	331,5		94,3
საქონელი და მომსახურება	170,5	170,5		128,9	128,9		75,6
სოციალური უზრუნველყოფა	0,0			0,0			
სხვა ხარჯები	2,6	1,1	1,5	0,9	0,8	0,1	70,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,6	1,6		1,6	1,6		100,0
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალაძის სახ.სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი 05 01 03	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	51,0	51,0	0,0	51,0	51,0	0,0	100,0
ნაშთი	0,0		2,6	0,0		2,6	
შემოსულობები	267,9	0,0	267,9	267,9	0,0	267,9	
გრანტი საქართველოს ბანკიდან	80,0		80,0			80,0	
სხვა შემოსავლები (იჯარის)	3,0		3,0	3,0		3,0	
სხვა შემოსავლები(ფეხბურთის გუნდის დაფინანსება)	182,3		182,3	182,3		182,3	
გადასახდელები	1183,7	911,8	271,9	1069,4	829,5	239,9	91,0
ხარჯები	1181,0	909,1	271,9	1069,4	829,5	239,9	91,2
შრომის ანაზღაურება	726,8	565,1	161,7	691,5	546,6	144,9	96,7
საქონელი და მომსახურება	388,7	305,2	83,5	327,4	257,1	70,3	84,2
სხვა ხარჯები	65,5	38,8	26,7	50,5	25,8	24,7	
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,7	2,7		0,0	0,0		
	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის ფაქტი			

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა 05 02 01	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები		სუბსიდია	საკუთარი შემოსავლები	
მომუშავეთა რიცხოვნობა	11,0	11,0	0,0	11,0	11,0	0,0	100,0
შემოსულობები	116,4	102,4	14,0	101,7	95,8	5,9	93,6
ნაშთი	0,0	0,0	10,0	0,0	0,0		
გრანტები(ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება)	102,4	102,4	0,0	95,8	95,8	0,0	93,6
